განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
საქართველოს კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ცვლილებების
და დამატებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს კონსტიტუციის 35.3 მუხლით დადგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სახელმწიფო უზრუნველყოფის საკითხი კანონით დარეგულირდეს.

ამასთანავე, განისაზღვროს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბაზისური სასწავლო - აღმზრდელობითი პროგრამა, რათა მანიპულირების საშუალება არ მიეცეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დამატებითი ფინანსური ვალდებულებები დააკისრონ მოქალაქეებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია დღემდე არსებული ხარვეზის გამოსწორება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო. ამასთანავე კონსტიტუცია ადგენს რომ სკოლამდელი დაწესებულების სახელმწიფო უზრუნველყოფის საკითხი უნდა განისაზღვროს კანონით.

საქართველოს კანონმდებლობით დღემდე აღნიშნული საკითხი რეგულირებული არ ყოფილა, რითიც ერთის მხრივ შეიქმნა ხარვეზი კონსტიტუციური ვალდებულების შესრულების თვალსაზრისით, ხოლო მეორეს მხრივ, შესაძლებლობა მიეცა ადგილობრივ თვითმმართველობებს ერთპიროვნულად მიეღოთ გადაწყვეტილებები, და 2010-2011 წლებში საქართველოში ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ძირითად სააღმზრდელო მომსახურებაზე შემოღებულ იქნა სხვადასხვა ტარიფი.

ამასობაში კონსტიტუციით გარანტირებულია სკოლამდელი აღზრდის სახელმწიფო უზრუნველყოფა, რაც თავისთავად გამორიცხავს რაიმე ტიპის გადასახადის დაკისრებას მოსახლეობისათვის აღნიშნული მომსახურების მიღებაზე.

წინამდებაზე ინიციატივის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კონსტიტუციით გარანტირებული უფლების შესაბამისად, აიკრძლოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიერ გაწეული ბაზისური მომსახურებისათვის რაიმე ტიპის მოსაკრებლის, ტარიფის ან გადასახადის დაკისრება.

ამასთანავე, თვითმმართვეობის შესახებ კანონით დადგენილი არ არის თვითმმართველობის არავითარი კომპეტენცია საბავშვო ბაღებთან მიმართებაში, და შესაბამისად სასწავლო-აღმზრდელობით პროგრამა, ისევე როგორც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის ძირითადი სამუშოა რეჟიმის ერთიანი რეგულირება განსაზღვრული არ არის. კანონპროექტის მიზანია ამგვარი ერთიანი რეგულირების განსაზღვრის ვალდებულების დაწესება და შესაბამისი, კომპეტენციების განსაზღვრა თვითმმართველობის ორგანოებისათვის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებით გამოწვეული ხარჯების დაფინანსება უნდა მოხდეს ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, თუმცა გავლენას ახდენს ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო არ იღებს რაიმე ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ვისაც სკოლამდელი ასაკის შვილები ყავთ.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი ითვალისწინებს კონსტიტუციით დადგენილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სახელმწიფო უზრუნველყოფის სისტემის განსაზღვრას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტს კავშირი არა აქვს საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი:
კანონპროექტის ავტორია:
საქართველოს პარლამენტის წევრი თინათინ ხიდაშელი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
კანონპროექტის ინიციატორია:
საქართველოს პარლამენტის წევრი თინათინ ხიდაშელი